საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მაისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 91 (10 260) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

15 მაისს თბილისში დაიწყო და გუშინ მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა. ყრილობამ გუშინვე დაამთავრა თავისი მუშაობის პირველი ეტაპი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეგიონალური ორგანიზაციები

ცნობები აფხაზეთიდან და აჭარიდან

სოხუმი

ახლახან ჩატარდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აფხაზეთის რეგიონალური მხარდამჭერი ჯგუფის დამფუძნებელი კრება. შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარემ ვალერი ლოგუამ.

დამსწრეთ სეოკ-ის წესდება გააცნო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის თეორიის და მეთოდიკის კათედრის გამგემ, დოცენტმა ოთარ ვახანიამ.

კრება მეტად საინტერესოდ წარიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვეტერანმა კალათბურთელმა ვლადიმერ ცომაიამ, სპორტის ოსტატმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკმა გიორგი მხითარიანმა, საფეხბურთო კლუბ „ცხუმის“ პრეზიდენტმა გურამ გაბესკირიამ და სხვებმა.

დამფუძნებელ კრებაზე შეიქმნა სეოკ-ის აფხაზეთის რეგიონალური მხარდამჭერი ჯგუფი, არჩეულია ამ ჯგუფის საბჭო 33 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორისაც მრავალად არიან აღიარებული სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები. ჯგუფის საბჭოში არიან, აგრეთვე, სპორტული ორგანიზაციების მუშაკები, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრები. ჯგუფის ხელმძღვანელად აირჩიეს სეოკ-ის წევრი, აფხაზეთის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ამირან ზუხბაია.

დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცდა ჯგუფის სამუშაო გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკაში ოლიმპიური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებას და განვითარებას, კერძოდ, ლელობურთისა და ქართული ჰიდაობის წინსვლას.

თენგიზ პაპკორია.
„ლელოს“ კორ.

ქ. სოხუმი.

* * *

ბათუმი

ბაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელიც გახსნა აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ თენგიზ ბოლქვაძემ. მან გააკეთა ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

რეგიონალური ორგანიზაციის წესდება დელეგატებს გააცნო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დავით კირკიტაძემ. სიტყვით გამოვიდნენ ხელვაჩაურის რაიონის სახალხო ფრონტის რეგიონალური ორგანიზაციის წევრი ა. დარჩია, აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. ოქროპირიძე, ხელბურთის სკოლის დირექტორი ს. მაჭავარიანი და სხვა.

კონფერენციამ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს უფროსი ჯემალ ჭიღვარია, მოადგილედ — სოსო მაჭავარიანი და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინსტრუქტორი მერაბ ქორდანია.

მუხრან კოგბალაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

„სანავარდო“ (ბამბრედია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0 (1:0).

თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„სანავარდო“: თოდაძე, კობრეიძე, ვაშაკიძე, ჭელიძე, თვალაბეიშვილი, თამაზაშვილი, ბაბუნიძე, შეპტიცკი, დადუნაშვილი, გოგაძე (ხუჭუა), რუხაძე.

„გურია“: ჭანთარია, კვინტრაძე (ჭურიძე), ჩხაიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ბარათაშვილი, ტყებუჩავა, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, ზურცილავა.

მსაჯები: რ. ტალიაშვილი, ნ. კილაძე, ვ. ეჯიბია (ყველა — თბილისი).

გააფრთხილეს კვინტრაძე.

სამბრედიის „სანავარდო“ პირველი გუნდია, რომელიც ჰკაცრად დასაჯა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და, უნდა ითქვას, მან „წარმატებით მოითავა სასჯელი“ — შესაძლებელი ცხრა ქულა ივნდი აიღო და ქულათა მარაგი საესებით ნეგად გაიმდიდრა. ამ მატჩშიც ოთხელიც თბილისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, სამბრედიელები მინდორზე გამარჯვების იმედით და სურვილით გამოვიდნენ. პირველივე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასული გოგაძე თავად ქანთარიას ცელა, თერთმეტმეტრიანი წარმატებით შეასრულა ჭელიძემ.

თამაში ორმხრივი შეტევებით წარიმართა, მაგრამ სამტრედიელები უფრო ზუსტნი იყვნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბაბუნიძე, გოგაძე, თვალაბეიშვილი.

„გურიას“ მეტად შესუსტებული შემადგენლობით მოუხდა მინდორზე გამოსვლა. ტრავმირებულ მიქაბერიძეს ბაკურაძე დაემატა, ხოლო თამაშის წინა დღეს უგრელიძე დაშავდა. ალბათ იძულებითი ცვლილებების გამო იყო, რომ „გურიის“ ტაქტა არ იყოს, შებორკილი გამოვიდა მოედანზე.

ეს შეხვედრა შეიძლება მიმდინარე ჩემპიონატის კურიოზულ მატჩადაც მივიჩნიოთ, რადგან „გურიას“ ორჯერ ჰქონდა ანგარიშის გაქვითვის ნაღდი შანსი — ჯერ პირველი ნახევრის მიწურულს დანიშნული 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა ჯორღალიძემ, ხოლო 50-ე წუთზე იდენტურ სიტუაციაში ბარათაშვილის დარტყმა მოიგერია მეკარე თოდაძემ.

შეხვედრის მეორე ნახევარი შედარებით მაღალ ტემპში წარიმართა. ლანჩხუთელები ერთიანი ძალით ეტევნენ სამტრედიის კარის მისადგომებს, „დანაშაულის“ გამოსყიდვას ცდილობდა კორღალიძე, რომელმაც ზედიზედ ორჯერ შეუტია სახიფათოდ მეტოქის კარს.

თამაშის ბოლო ოც წუთში „გურიის“ გამუდმებულ შეტევებს ნაყოფი არ გამოუღია და ანგარიში უცვლელი დარჩა.

ინგა ჩახვაშვილი.

იხ. მე-3 გვ.

ცაგერის რაიონულ ცენტრში გამართული ასპარეზობის მომენტები

სიჭაბუკისა და სიჯანსაღის ზეიმად გადაიქცა ოლიმპიური დღე ცაგერის რაიონში.

ნორჩებს მოზარდები სცვლიდნენ, მათ — უფროსები, მასობრივი კროსის მონაწილეთა ასაკი კი ნებისმიერი გახლდათ. გაიმართა შეჯიბრებები ქართულ ჰიდაობაში, ველოსპორტში, ფეხბურთში და მკლავჭიდში.

გამარჯვებულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს გადაეცათ პრიზები, სიგელები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

დ. მუშკუდიანი.

გთავაზობთ ფინალდებას

ფეხბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად მოელიან 27 მაისს, როცა თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველ საერთაშორისო მატჩს გამართავს. ჩვენი გუნდი შეხვდება ლიტვის ნაკრებს.

ყველას კარგად მოეხსენება დღევანდელი ლიტვის მდგომარეობა. ეფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა თუ თბილისიდან ჩვენი სტუმრები იმაზე მეტ თანხას წაიღებდნენ, რაც ასეთ მატჩში მონაწილეობისთვისაა გათვალისწინებული. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ქველმოქმედების რამდენიმე ვარიანტი შეიძლება შეირჩეს, მაგრამ მათი ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ — ფინანსისტებს თავის შეუვალი კანონები აქვთ და ძალიან არ უყვართ, როცა ვინმე მათ საქმეებში ერევა.

მაგრამ.... ერთ წინადადებას მაინც შემოგთავაზებთ, რომელიც უმტკივნეულოა და საკთხისადმი ყოველგვარი ბიუროკრატიული მიდგომისაგანაა დაზღვეული. დავდგათ სტადიონზე ყუთები და ვისაც რამდენი სურს, იმდენი შეწიროს. ასეთი საქველმოქმედო აქტი ერთ-ორჯერ უკვე ჩატარდა ჩვენს სტადიონზე და არავითარი გაუგებრობა არ გამოუწვევია.

თქვენ რას იტყვით? იქნებ სხვას, სხვა კონკრეტული წინადადება აქვს.

ვახტანგ ჩაფიძე.
თბილისი.

დეკეშა ნომერში

სეოკ-ის მხარდამჭერი რეგიონალური ჯგუფი „სამეგრელო“ გაცნობებთ, რომ ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ჩხოროწყუში, წალენჯიხში და მარტვილში 13 მაისს ნატარდა ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები. მოეწყო შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში, სომძმეების აწეება, ლელობურთში, ფეხბურთში, ჭიდაობაში და ბაგირის გადაძალვაში.

ლეილა მესხი მესამე წრეში გავიდა

დასავლეთ ბერლინი. აქ მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე მეორე წრის მატჩები დაიწყო, თუმცა ზოგიერთმა ჩოგბურთელმა მხოლოდ სასტარტო შესვედრა ჩაატარა. დაგვიანებულთა შორისაა ლეილა მესხი. რომელმაც პირველი წრის ორთაბრძოლა მოუგო დასავლეთგერმანელ კლაუდია კოდე-კილშს 6:1, 6:7, 6:1.

წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას თბილისელი ლეილა მესხი. როგორც უკვე გაუწყეთ დებიუტში მან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი ამანდა კოტცერი დაამარცხა, თანაც ისე, რომ არც ერთი გეიმი არ წაუგია. ლეილამ მეორე წრეშიც საკმაოდ ადვილად აჯობა ჩეხოსლოვაკიელ რეგინა რაინერტოვას — 6:1, 6:1. უპირატესობაც ამას ქვია — ორ შეხვედრაში ქართველმა ჩოგბურთელმა მხოლოდ ორი გეიმი წააგო.

ნატალია ზვერევამ მეორე წრეში ამერიკელი ენ ჰარისონი დაამარცხა 4:6, 6:3, 6:2.

საბჭოთა გუნდმა პირველი დანაკარგი განიცადა. მეორე წრეში ასპარეზობას გამოეთხა ნატალია მედვედევა, რომელმაც ამჯერად ესპანელ კორჩიტა მარტინესთან წააგო.

გუშინ გაზეთმა „მამულმა“ გამოაქვეყნა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მიმართვა, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე გადმოვბეჭდეთ.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

საქართველოს ტელევიზიის „დიდი პრიზის“ გათამაშება ველოსპორტში

ჩვენ თვითონ მოვიწვიოთ

ბრეკზე ველორბოლაში საქართველოს ტელევიზიის ტრადიციულ „დიდი პრიზის“ მე-16 გათამაშებაზე მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მცირე აღმოჩნდა სხვა წლებში ჩატარებულ ანალოგიურ ტურნირებთან შედარებით. რა მოხდა? სამწუხაროდ, სტუმრებს ტურნირებზე საკავშირო სპორტსახკომი იწვევს და ვის რა მოწვევა ეგზავნება, არ ვიცით, თუმცა დიდი ეჭვი გვაქვს, რომ შეტყობინებები დაგვიანებით, ან სულაც არ იგზავნება.

ასეა თუ ისე, ამჯერად შეჯიბრებაზე მხოლოდ ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები ჩამოვიდნენ. მათთან ერთად ასპარეზობდნენ სსრ კავშირისა და საქართველოს ველოსიპედისტები. ჩვენი გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა სპორტსმენებით, რომლებსაც მოუწევთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ასპარეზობა. მათგან მაღალ შედეგებს არავინ ელოდა, რადგან გამოცდილება და ასაკი ბევრს ნიშნავს სპორტში. ჩვენმა ჯაბუკებმა, მართლაც, მოკრძალებული შედეგები აჩვენეს ტურნირზე.

მცირერიცხოვან მონაწილეებს არც ამინდმა შეუწყო ხელი და მათ საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდათ ასპარეზობა, მაყურებელიც კანტიკუნტად იყო ტრიბუნაზე.

ლ. ბურავცოვა

შეჯიბრების პირველ დღეს გათამაშდა გიტი 200 და 1000 მეტრზე, „დიდი პრიზი“ კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ სპრინტში თამაშდება.

მაყურებელმა კვლავ იხილა გერმანელი სპორტსმენი ემანუილ რაში, რომელიც ოთხი წლის მანძილზე ჩამოშორებული იყო დიდ სპორტს და მიუხედავად ასაკისა (იგი ამჟამად 34 წლისაა), ურიგოდ არ ასპარეზობდა. მართალია, სპრინტში გამარჯვება მის თანაგუნდელს იენს ფიდლერს დარჩა, მაგრამ რაში, ვფიქრობთ, უკმაყოფილო არ წასულა თბილისიდან, რადგანაც მან, სულ რამდენიმე თვეა რაც ვარჯიში განაახლა. „დიდი პრიზი“ კი, ცხადია, ფიდლერს გადაეცა.

სპრინტში მეშვიდე ადგილი დაიკავა ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა მირიან დოლიძემ. ეს მისთვის ურიგო შედეგი არ გახლავთ.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ტურნირის მთავარ მსაჯს ომარ ფხაკაძეს.

— აბა, რა შეიძლება ითქვას ტურნირის შემადგენლობაზე, როდესაც ასე ცოტა სტუმრები ჩამოვიდნენ თბილისში, ალბათ დროულად ვერ შეატყობინეს ყველას. ჩვენს გუნდში უნდა ეასპარეზათ მჭედლიშვილს და ადამაშვილს, მაგრამ დღემდე არ ვიცით თუ რატომ არ მიიღეს მათ მონაწილეობა შეჯიბრებაში. მომავალი წლიდან, ვფიქრობთ, ჩვენ თვითონვე უნდა მოვიწვიოთ სტუმრები. მაშინ წინასწარვე გვეცოდინება ტურნირის შემადგენლობა.

ი. ფიდლერი.

ქვარცხლბეკი

გიტი. 200 მ. ვაჟები.

1. ი. ფიდლერი (გდრ) — 10,54; 2. ი. ბელოსტეცკი (სსრკ) — 10,70; 3. ე. რაში (გდრ) — 10,70.

ქალები. 1. ლ. ბურავცოვა — 11,89; 2. ო. სლუსაროვა — 12,09; 3. მ. კალაშვა — 12,11 (სამივე — სსრკ).

გიტი. 1000 მ. 1. ი. ფედუნი (სსრკ) — 1.08,12; 2. კ. ვალჩევი (ბულგარეთი) — 1.08,62; 3. ე. ნურიევი (სსრკ) — 1.09,78;

სპრინტი. ვაჟები. 1. ი. ფიდლერი (გდრ); 2. ვ. სულთანოვი; 3. ი. ფეოფსი (ორივე — სსრკ).

ქალები. 1. ლ. ბურავცოვა; 2. მ. ევტეევა; 3. ო. სლუსაროვა (სამივე — სსრკ).

გია ბურდული.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს საქართველოს სპორტსახკომს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაზეთ „ლელოს“: რედაქციას ფეხბურთის ყოველ გულშემატკივარს

8 ივნისს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

თუ აქამდე ქართული ფეხბურთი რაღაც სახით მაინც მონაწილეობდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქართველ ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატისაკენ მიმავალი ის ვიწრო და დამამცირებელი ბილიკიც გადაეკეტათ.

ფიფა უარს ამბობს თავის წევრად საქართველოს მიღებაზე, რადგან ჩვენ, ფიფას წესდების პირველი მუხლის თანახმად, წარმოვადგენთ საბჭოთა კავშირს, ეს უკანასკნელი კი უკვეა გაერთიანებული ფიფაში, როგორც სუვერენული სახელმწიფო.

ჩვენ რომ ვიწმეს კოლონიად ან დომინიონად ვეღიარებინეთ, იმავე ფიფას წესდების მესამე მუხლის თანახმად უფლება გვექნებოდა, შევსულიყავით ფიფას შემადგენლობაში, როგორც ცალკე ერთეული, მაგრამ საქართველო ამ „ბედნიერებასაც“ — კოლონიად ცნობის „პატივსაც“ მოკლებულია.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ფეხბურთის ქართველ (და, ცხადია, არა მხოლოდ ქართველ...) გულშემატკივართა მრავალათასიანი არმიის წინაშე შემოდის წინადადებით:

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ (დღე და საათი ალბათ ცალკე განისაზღვრება) ჩატარდეს საქართველოს დედაქალაქში გრანდიოზული, სანქცირებული მანიფესტაცია, რომელიც იქნება ფიფასა და უეფას მიმართ ჩვენი სამართლიანი და ამასთან კატეგორიული პრეტენზიების გამოცხადება. მობურთალს მოედანი სჭირდება, და არ შეიძლება, მას ეს უფლება წაართვან მხოლოდ იმის გამო, რომ ამ მობურთალთა სამშობლოს, ორასწლიანი მონობის შემდეგ, თავისუფლება და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა განუზრახავს.

ხსენებულ მანიფესტაციასა და მიტინგს ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს ეროვნულმა მოძრაობამ — სწორედ მან, ვისი აზრითა და ნებითაც გადაიდგა პირველი აუცილებელი ნაბიჯი ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის გზაზე. უნდა შეიქმნას საგანგებო, კომპეტენტური კომისია, რომლის სცენარითაც დაიდგმება ეს დიდი და დღემდე ჩვენში უჩვეულო ხეპენინგი. კომისიაში ალბათ უნდა შევიდნენ როგორც სპორტის, ისე თეატრისა, კინოსა და მეცნიერების წარმომადგენლები. ყველაფერი — დემონსტრანტთა მსვლელობა, ლოზუნგები, ტრანსპარანტები — უნდა აისახოს კინოფირზე, და ეს მასალები, დიქტორის სათანადო, ჰკვიანური, საქმიანი ტექსტის თანხლებით, გაიგზავნოს მსოფლიო ჩემპიონატზე, როგორც ჩემპიონატის ტელეტრანსლაციების თანმხლები საინტერესო ინფორმაცია. ამ საქმეს უნდა ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სპორტსახკომმა მოაბან თავი.

დემონსტრაციას წინ უნდა გაუძღვეს საქართველოს სპორტული ელიტა — ჩვენი სახელოვანი დედოფლები, ჩვენი მსოფლიო ჩემპიონები, ჩვენი მსოფლიო რეკორდსმენები, ევროპის ჩემპიონები, ევროპის რეკორდსმენები, და, რა თქმა უნდა, დიდი ასპარეზის გარეშე დარჩენილი ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელები — ევროპის თასის მფლობელნი!

რა თქმა უნდა, იქვე იქნებიან ფეხბურთის მამაცი გულშემატკივრები!

დემონსტრაციამ საბოლოოდ, სულ რამდენიმე წუთით, უნდა „იბერიის“ სტადიონზე გამართოს საპროტესტო მიტინგი!

აქციის აუცილებელ წინაპირობად მიგვაჩნია ის, რომ არანაირი სხვა თემა და პრობლემა, გარდა ფიფას მიერ საქართველოს ცნობისა, იმ დღეს არ უნდა წამოიჭრას!

დემონსტრაციის ამსახველ კინოფირთან ერთად ქართველ გულშემატკივართა მიმართვა უნდა გაეგზავნოს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს — იტალიელ ტიფოზებს!

ჩვენი აზრით, ამ გზით სავსებით შესაძლებელია სამართლიანობის აღდგენა — თუ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეს იქნება, ფიფა უსათუოდ გადახედავს თავის არასწორ პოზიციას.

ეს კი თავისთავად იქნება დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება.

გაზეთი „მამული“ (№ 9, 1990 წ.).



ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

ნარმატება

კიდევ ერთმა სოხუმელმა მოჭადრაკემ გამოიჩინა თავი — ავსტრიის ქალაქ ამშტეტენში, სადაც საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა. პირველი ადგილი მოიპოვა მიხეილ იაილიანმა. ტურნირი ქვემო ავსტრიის საშაჭრაკო ფედერაციამ მოაწყო და მასში მონაწილეობდა სსრ კავშირის, ავსტრიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების 128 მოჭადრაკე, მათ შორის 3 საერთაშორისო დიდოსტატი, 13 საერთაშორისო ოსტატი და ერთიც ქალი — ჟუჟა ვერეში — გვითხრა მ. იაილიანმა. სულ მალე სოხუმელი მოჭადრაკე კიდევ ორ საერთაშორისო ტურნირში გამოვა. ჯერ ლიხტენშტეინში, შემდეგ კი ავსტრიაში. მიხეილ იაილიანი და ნოდარ გელენავა, როგორც მწვრთნელები, ინტენსიურად მუშაობენ, რომ თავიანთი მოწაფე — 10 წლის სოხუმელი მოჭადრაკე რუსუდან გოლეთიანი კარგად მოამზადონ მსოფლიო ჩემპიონატისათვის 12 წლამდე გოგონებს შორის. ეს ასპარეზობა თავდაპირველად დაგეგმილი იყო სინგაპურში, მაგრამ ახლა გახდა ცნობილი, რომ პირველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება 1990 წლის ივლისში.

„ლელოს“ კორ. სოხუმი.

9 სახეობაში

ათას სამასამდე მონაწილე გამოცხადდა საგაზაფხულო სპარტაკიადაზე, რომელიც სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ გორის საქალაქო საბჭომ მოაწყო.

ფიზკულტურელები სპორტის 9 სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 216 ქულით გაიმარჯვა პირველი საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გავიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაკრები, მესამეზე — სოფელ მერეთის გუნდი.

ილია თევდორაშვილი, „ლელოს“ კორ.

* * *

წარმატებით აიღეს სტარტი „უნივერსიადა-90“-ის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებში თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. უკვე დამთავრებული ექვსი სახეობიდან ოთხში პირველი და ორშიც მეორე ადგილები დაიკავეს.

უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვეს: ბადმინტონისტთა ნაკრებმა, მოჭადრაკეებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა, წყალბურთელთა ნაკრებმა. ქალთაბურთელი ქალები და მოცურავეები მეორე ადგილებს დაჯერდნენ.

ლ. გენგაშვილი, სპორტის ოსტატი.

საქართველოს ვრცვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 2:1 (1:0).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 15 მაისი.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, საბხარაძე, ჩხეიძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე (ზეიკიძე), კაკილაშვილი (მურმანიშვილი), ყიფიანი, ჭობელაშვილი, მინაშვილი.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, კაკაჩია, ჭაჭაია, გიორგაძე, ბაჯალაძე, შამათავა, თოფურია, ინიაშვილი, ჯულელი, თვარაძე, ავრამიდისი.

მსაჯები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), ა. ყიფიანი (მცხეთა), დ. მენთეშაშვილი (თბილისი).

თბილისის „შევარდენმა“ ეროვნული ჩემპიონატი უნიათოდ დაიწყო, ვერ აწყო თამაში და აქტივში მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდა, — აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ გალის „მზიურთან“. ამიტომ, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ „კოლხეთი“ სამ ქულას თუ არა, ერთს მაინც წაიღებდა შინ. მატჩის დასაწყისიც ამას ადასტურებდა.

პირველსავე წუთზე გ. გიორგაძემ მარჯვენა ფლანგიდან მაღალი ბურთი ჩააწოდა ი. ჯულელს, რომელმაც ააცილა ბურთი კარს. შემდეგ თოფურიამ ორჯერ ზედიზედ და ჯულელმა ვერ გამოიყენეს რეალური საგოლე მოშენტები.

პირველი გოლი კი გავიდა 36-ე წუთზე. „შევარდენში“ კონტრიერიში წამოიწყო, ნ. კაკილაშვილმა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მიიღო ბურთი, გასცდა რამდენიმე მცველს და დროულად გადააწოდა მ. მინაშვილს — 1:0.

წარმატებამ ფრთები შეასხა შეკარდნელებს, რომლებმაც რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ მეკარისა და მცველების კარგმა თამაშმა განმუხტა რამდენიმე საგოლე სიტუაცია.

თავის მხრივ ფოთელებმაც განახორციელეს რამდენიმე შეტევა. 57-ე წუთზე მ. ბაჯალაძემ ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1. შემდეგ საგოლე მომენტები თანაბრად იქმნებოდა ორივე კართან. შეხვედრის ბედი კი 88-ე წუთზე გადაწყდა, როცა გვასალიამ მოიგერია ძნელაძის დარტყმა, ჭობელაშვილმა დროზე მიუსწრო მეკარის ხელიდან ასხლტილ ბურთს და ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თანაგუნდელებს.

ლევან ჯავახიშვილი.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დილა“ (გორი) 0:0

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„ამირანი“: მესხია, ჩხვირკია, ძალამიძე, ზელია, ახვლედიანი, ღურწკაია (ვართანოვი), აფინდოპულო (შამათავა), დ. კაკუბავა, ჭობალია, შამუგია, როსტომაია (მ. კაკუბავა).

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ჩადუნელი, წიკლაური (ჭობესოვი), კოშაძე, მარეხაშვილი, გაზაშვილი, მარღიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

მსაჯები: ე. სილაგავა, თ. გუნთაძე, ა. შილაკაძე (სამივე — თბილისი).

როგორც განვლილ ტურებში, ამჟამადაც ოჩამჩირის სტადიონზე ტევა არ იყო, მაგრამ მაყურებელი გაწბილებული დარჩა, რადგან გუნდებმა ვერ აჩვენეს ისეთი თამაში, როგორსაც მათგან მოელოდნენ. მასპინძლებს, რომ იტყვიან, უკან დახევი გზა არა აქვთ, „ამირანი“ აუტსაიდერთა რიგებშია და მხოლოდ ძალების მთელი მობილიზებით უნდა დააღწიოს თავი სახიფათო ზონას.

ოდნავ შესამჩნევ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ 90-მა წუთმა ისე ჩაიარა, რომ რამე სერიოზული საფრთხე არც ერთ კართან არ შექმნილა. ფრედ — 0:0.

მედეა ნემსიწვერიძე.
„ლელოს“ კორ.

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „იბერია“ (თბილისი) 0:2 (0:1)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„ქუთაისი“: ჩხეიძე, შავგულიძე (ჯანაშია), თორდაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე (დვალიშვილი), შავდათუაშვილი, შენგელაია (სუხიაშვილი), დარასელია, ფაიჭიძე.

„იბერია“: ხაპოვი, კეტაშვილი, მაჭავარიანი, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (ყიფიანი), ქეცბაია (ჯამარიული), ჩიქოვანი, კაჭარავა (ნემსაძე), გურული, გოგიჩაიშვილი.

მსაჯები: მ. მიმინოშვილი (თბილისი), მ. ფოლადაშვილი (რუსთავი), ვ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

თბილისელ და ქუთაისელ ფეხბურთელთა შეხვედრა ტრადიციულად გულშემატკივართა და სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ასე იყო ამჯერადაც, მით უმეტეს, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები.

ეს მოლოდინი გამართლდა კიდეც. მეტოქეები დიდი მონდომებით იბრძოდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად და ძლიერი ქარის მიუხედავად, რომელსაც თავისი კორექტივი შეჰქონდა თამაშში, მაინც საკმაოდ კარგი, გააზრებული და შეტევი თამაში აჩვენეს.

პირველი სახიფათო მომენტი მე-6 წუთზე შეიქმნა: გოგიჩაიშვილის ჩაწოდების შემდეგ ქუთაისელმა მცველებმა გაჯირვებით მოიგერიეს ბურთი. შემდეგ შენგელაიამ მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, იქ მარტოდმარტო იმყოფებოდა შავდათუაშვილი, გოლი თითქმის გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მისი თავური დარტყმა ძელმა მოიგერია.

42-ე წუთზე რევიშვილმა კარგად ისარგებლა ქუთაისელთა მცველის წამიერი დაყოვნებით და საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან შეუფერხებლად დაარტყა. ბურთი ერთ-ერთ მცველს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და ჩხეიძის ნახტომი უშედეგო აღმოჩნდა — 0:1.

მეორე ტაიმი ქუთაისელთა მძლავრი შეტევებით დაიწყო. ისინი არაერთხელ იყვნენ ახლოს მიზანთან, თორღაშვილის, ფაიჭიძის, დარასელიას სახიფათო დარტყმების შემდეგ, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა „იბერიის“ მეკარემ, რომელმაც ზედიზედ სამი დარტყმის მოგერიება შეძლო.

მეკარის ასეთმა თამაშმა მეტი დამაჯერებლობა შემატა „იბერიის“ მცველთა მოქმედებას. რომ წინ წასული ქუთაისელები ყოველთვის დროზე ვერ იხევდნენ უკან.

77-ე წუთზე თბილისელთა შეტევისას ჩხეიძემ აკრძალული ილეთით შეაჩერა მის პირისპირ გასული გურული. 11-მეტრიანი დარტყმა თავად დაზარალებულმა შეასრულა — 2:0.

ეს გოლი გადამწყვეტი გამოდგა. გამოცდილმა თბილისელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს.

თამაზ კოლხიდელი,
„ლელოს“ კორ.

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 0:0

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„ოზურგეთი“: დუმბაძე, ცერცვაძე, ათუაშვილი, მეავანაძე, კალატოზიშვილი, ბარამიძე, ამაშუკელი, კაშია, თეთრაძე, ნასუაშვილი, ჩიგოგიძე.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიძე, კოკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე, უჯმაჯურიძე (შეყილაძე), შანიძე, ტუღუში, მაისურაძე (მაჭუტაძე).

მსაჯები: მ. მალაღურიძე, ტ. ნიშნიანიძე, ვ. ალიევი (ყველა — თბილისი).

გააფრთხილეს: კალატოზიშვილი, შეყილაძე.

თამაში დაზვერვით დაიწყო, ბურთი ძირითადად მინდვრის ცენტრში ტრიალებდა და პირველ ტაიმში გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა არც ერთ კართან არ შექმნილა. მკვეთრად განსხვავდებოდა თამაშის მეორე ნახევარი პირველისაგან. არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა როგორც ერთ, ისე მეორე კართან. მ. მახარაძის მიერ დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. კარიას დარტყმა მცირე მანძილით გასცდა ბათუმელთა კარს.

მე-80 წუთზე ნასუაშვილი მკარე ბალაძესთან პირისპირ აღმოჩნდა. მაგრამ თავდასმულმა ვაჭარა ვერ გამოიყენა ბურთი.

მატჩის ბოლო წუთები დაძაბულობით აღინიშნა, ჩიგოგიძის ძლიერი დარტყმისაგან კარი ძლივს იხსნა ბალაძემ, უკანასკნელ წუთზე კი ტუღუშმა ვერ გამოიყენა კარგი შანსი.

ნუგზარ ასათიანი,
რაიონული გაზეთ „ალიონის“ კორ.

„კოლხეთი“ (ხობი) — „ივერია“ (ხაშური) 5:0 (3:0)

ხობი. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„კოლხეთი“. ბერაძე, ჯეჯელავა, კაციტაძე, ხურცილავა, სიჭინავა, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, გვახალია, თევზაძე (ფარფალია), ჰიბინაძე, (დოლბაია).

„ივერია“: მურადაშვილი, ჭანტურიძე, (პ. ნოზაძე), ცხოვრებაშვილი, ამბიძე, მაღრაძე, (რ. ნოზაძე), ჭიმერიძე (ხარაზიშვილი), აბაზაძე, ჭუონია, ბ. თევზაძე, მღვდელაძე, ტიტვინიძე.

მსაჯები: შ. ხანიაშვილი, უ. ფურცელაძე (თბილისი), ი. ჭანტურია (ხობი).

გოლები: გვახალია-2, ი. სიჭინავა, ბაკურაძე-2.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 17 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გორდა“ (რუსთავი)	10	8	1	1	18-5	25
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	10	7	1	2	16-10	22
„გურია“ (ლანჩხუთი)	10	7	0	3	20-4	21
„იბერია“ (თბილისი)	10	6	3	1	24-6	21
„ბათუმი“ (ბათუმი)	10	6	3	1	14-3	21
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	10	5	3	2	15-9	18
„ხანავარდო“ (ხამტრედია)	10	5	3	2	12-11	18
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	10	4	4	2	10-5	16
„კოლხეთი“ (ხობი)	10	4	3	3	14-10	15
„ცხუმი“ (სოხუმი)	10	3	4	3	11-11	13
„ივერია“ (ხაშური)	10	4	0	6	9-17	12
„დილა“ (გორი)	10	3	2	5	15-14	11
„ხამკურალი“ (წყალტუბო)	10	2	3	5	11-14	9
„მზიური“ (გალი)	10	2	2	6	7-19	8
„ოდიში“ (ზუგდიდი)	10	1	5	4	7-9	8
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	10	2	1	7	8-21	7
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	10	1	2	7	3-16	5
„ლიახვი“ (ცხინვალი)	10	0	0	10	6-36	0

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის X ტურის სხვა მატჩების მიმოხილვას „ლელოს“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ისინი იტალიაში გამოვლენ

კოლუმბია

1990 წლის დასაწყისში, კოლუმბიის მთავრობის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია იძულებული გახდა განუსაზღვრელი ვადით შეეწყვიტა ეროვნული ჩემპიონატი. ამ უკიდურეს ზომას მიმართეს იმის გამო, რომ ჩემპიონატის ერთერთი შეხვედრის მსვლელობისას... მოკლეს მატჩის არბიტრი. სათამაშო პრაქტიკის იძულებითი დეფიციტი, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ნაკრების წევრების სპორტულ ფორმაზე. გარდა ამისა, ნაკრების ჩემპიონატისთვის მზადებაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს ნარკობიზნესის „მეფეების“ ურთიერთქიშპობა იტალიაში საფეხბურთო ტოტალიზატორზე კონტროლის მოსაპოვებლად.

თუმცა, ნაკრების უფროს მწვრთნელს ფრანსისკო „პაჩო“ მატურანას მიაჩნია, რომ ყველაფერ ამას არ უმოქმედია ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობაზე. მისი აზრით, გუნდი კარგად გამოკვრებოდა ბოლო ხანებში ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში.

„ჩემი აზრით, ჩემპიონატის მატჩების შეწყვეტა უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის საკლუბო ფეხბურთზე. — განაცხადა ფ. მატურანამ. — რაც შეეხება ნაკრებს, ჩვენ შეგვძლებთ ავიცილოთ ამ ფაქტის უარყოფითი გავლენა, რადგანაც უმთავრეს მზადებას ფეხბურთელები შეკრებებზე და სხვადასხვა საწვრთნელ თამაშებში გადიან.

ჩემი კრიტიკოსები მადანაშაულებენ იმაში, რომ ნაკრების შემადგენლობაში ბევრი მყავს „ნასიონალის“ ფეხბურთელები, იმ კლუბისა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. არადა, თავისი სიძლიერე მათ თვალნათლივ დაამტკიცეს იმით, რომ შარშან მოიპოვეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი „ლიბერტადორესი“. ეს კი ვერც ერთმა კოლუმბიურმა კლუბმა ვერ შეძლო ბოლო 30 წლის განმავლობაში“.

ფრანსისკო მატურანამ სამი წლის წინ ჩაიბარა კოლუმბიის ნაკრები. შეიცვალა გუნდის თამაშის სტილი, ახალმა მწვრთნელმა უარი თქვა ურუგვაიული სტილის თამაშზე — ძალისმიერ ბრძოლაზე მთელ მინდორზე და კონტრშეტევებზე, ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა კოლექტიურ თამაშს, რომელიც ძირითადად დამყარებულია მოკლე და საშუალო გადაცემებზე მინდვრის ცენტრში და იმპროვიზაციაზე მეტოქის კართან. ასეთია ფრანსისკო მატურანას საფეხბურთო კრედო, მაგრამ შეძლებს კი იგი თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას? საქმე ისაა, რომ ტერორისტთა გარკვეული ჯგუფი სერიოზული ანგარიშსწორებით ემუქრება მატურანას, თუ იგი არ დატოვებს თავის პოსტს. რა აზრისაა ამის თაობაზე თავად „პაჩო“?

„არ შეიძლება მუქარის უყურადღებოდ დატოვება. ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ დროს მომხდარი ამბებიდან გამომდინარე ასეთ რამეს სერიოზულად უნდა მიუდგე. მე არ მინდა საკუთარი და მთლიანად ოჯახის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. თუ ჩემი ეჭვები გამართლდა, ალბათ, მომიწევს უფროსი მწვრთნელის პოსტის დატოვება. მაგრამ, რაც არ უნდა სერიოზული იყოს მუქარა, ნაკრები ტერორისტების გავლენის ქვეშ არ უნდა მოექცეს. ეს მხოლოდ გაართულებს მდგომარეობას. ჯერჯერობით გუნდის ყველა გეგმა უცვლელი რჩება“.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კოლუმბიის ნაკრებში ყველაზე კოლორიტული ფიგურაა მეკარე რენე იგიტა. გარდა იმისა, რომ იგი საიმედოდ იცავს კარს, უყვარს უმეტესად თამაშში მონაწილეობაც, ჩვეულებრივ ტოვებს საკუთარ საჯარიმოს, გაადგის მეტოქის ნახევარზე. გარდა ამისა, ლგი გუნდის „შტატიანი“ პენალისტია, თუმცა, ყველაზე საოცარი ისაა, რომ მისი რეიდები მეტოქის კარისკენ ჯერჯერობით „დაუსჯელი“ რჩება. მწვრთნელის აზრით, სანამ ეს არ მოხდება, იგიტა არ მოიშლის ამ ჩვევას.

ვინ არიან ნაკრების კანდიდატები?

მეკარეები — რენე იგიტა (დაიბადა 1966 წლის 27 აგვისტოს, თამაშობს „ნასიონალში“), ედუარდო ნინო (8.08.67, „სანტა-ფე“); **მცველები** — ვილსონ პერესი (6. 08.67, „ატლეტიკო ხუნიორი“), ლეონ ვილია (12.01.60, „ნასიონალი“), ჯოვანი კასიანა (10.01.70, „ნასიონალი“), კარლოს მარიო ოროსი (28.02.62, „დეპორტივო“ კალი), ხილარდო გომესი (17.10. 64, „ნასიონალი“), ალექსის მენდოსა (8.11.61, „ხუნიორი“), ანდრეს ესკობარი (12.03.67, „ციურიხი“ შვეიცარია), ლუის კარლოს პერეა (29.12.63, „ნასიონალი“); **ნახევარმცველები** — მარიო კოლი (20.08. 60, „ამერიკა“), ლეონელ ალვარესი (29.07.65, „ნასიონალი“), გაბრიელ ხაიმე გომესი (8.12.59, „ინდიპენდიენტე“), გუსტავო რესტრეპო (24. 09.69, „ნასიონალი“), ვილმერ კაბრერა (15.09.67, „სანტა-ფე“), ფრედი რინკონი (14.08.66. „ამერიკა“), ალექსის გარსია (21.07.60, „ნასიონალი“), კარლოს ვალდერამა (2.09.61, „მონპელიე“ საფრანგეთი), ბერნარდო რედინი (26. 02.63, „დეპორტივო“, კალი), რიკარდო პერესი (24. 10.63, „ნასიონალი“); **თავდამსხმელები** — ჯონ ხაირო დიასი (23.08. 66, „მილიონარიოსი“), მიგელ გერერო (7.09.67, „ამერიკა“), არნოლდო იგუარანი (18.01.57, „მილიონარიოსი“), რუბენ დარიო ერნანდესი (19.02.65, „მილიონარიოსი“), კარლოს ენრიკე ესტრადა (1.11. 67, „დეპორტივო“ კალი), ჯონ ხაირო ტრელიესი (29.04.68, „ციურიხი“ შვეიცარია), ალბეირო უსურიაგა (12.06.66, „ნასიონალი“).

შარშან კოლუმბიის ნაკრებმა 13 მატჩი გამართა, შვიდში გაიმარჯვა, ოთხი ფრედ დაამთავრა, ორში დამარცხდა. აქედან 3 შეხვედრა ამხანაგური იყო: კოლუმბია — არგენტინა 1:0, აშშ — კოლუმბია 0:1, კოლუმბია — ჰაიტი 4:0. სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაში გუნდმა ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა: კოლუმბია — ვენესუელა 4:2, პარაგვაი — კოლუმბია 1:0, ბრაზილია — კოლუმბია 0:0, პერუ — კოლუმბია 1:1. კარგად ითამაშა კოლუმბიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში: ეკვადორი — კოლუმბია 0:2, პარაგვაი — კოლუმბია 2:1, კოლუმბია — ეკვადორი 0:0, კოლუმბია — პარაგვაი 2:1, ასეთმა შედეგმა კოლუმბიელებს საშუალება მისცა ორი დამატებითი მატჩი გაემართა ოკეანიის ზონაში გამარჯვებულ გუნდთან: კოლუმბია — ისრაელი 1:0, ისრაელი — კოლუმბია 0:0.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირში კოლუმბიის ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ, 1962 წელს იასპარეზა ჩილეში. მაშინ კოლუმბიელები დამარცხდნენ იუგოსლავიელებთან და ურუგვაელებთან, სსრ კავშირის ნაკრებთან კი ფრედ ითამაშეს. ჯგუფური ტურნირის გადალახვა მაშინ მათ ვერ შეძლეს.

გიორგი ჭოხაძია.

წყალბურთელ ქალთა ჩემპიონატი

ჩემპიონობის შანსი

თბილისელთა მეტოქე — კიევის „სლავუტიჩი“ წარუმატებლად გამოდიოდა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრეში, ასე რომ, „ივერიასთან“ მის გამარჯვებას თუ მარცხს პრაქტიკულად ერთი ფასი ჰქონდა — იგი მაინც ფინალურ ჯგუფს მიღმა რჩებოდა. კიდევ ერთხელ გამართლდა თბილისელი ქეთინო გვანცელაძის აზრი, რომელიც მატჩის დაწყებამდე გამოთქვა: ჩვენთან ყველა ისეთი გულმოდგინებით თამაშობს, თითქოს ფინალურ მატჩს ატარებსო.

კიეველებმა შეხვედრა მართლაც ჯიქური შემართებით დაიწყეს. უნდა ითქვას, რომ თავის მხრივ თბილისელებიც თავდაუზოგავად თამაშობდნენ. ეს გასაგებიცაა — მათ ხომ მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, რათა საუკეთესოთა ოთხეულში მოხვედრილიყვნენ.

შეხვედრის დასაწყისში ეკაზაშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ მის მიერ უხეიროდ ნატყორცნი ბურთი მოიგერია კიეველთა მეკარემ ლისენკომ. იქვე ბურთს ისევ ივერიელები დაეუფლნენ და რუსუდან გვანცელაძის ზუსტი პასის შემდეგ ეკაზაშვილმა გამოასწორა შეცდომა — 1:0. პირველ პერიოდში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე პერიოდი უხვგოლიანი გამოდგა. ჯერ სტუმართა მცველმა ნიკოლაევამ გაქვითა ბურთი, შემდეგ ჩერნიშოვამ და ქ. გვანცელაძემ კვლავ დააწინაურეს თანაგუნდელები, რასაც კიეველმა კოვალმა ლამაზი გოლით უპასუხა. ორი პერიოდის ანგარიშში თბილისელები წინ იყვნენ 3:2.

ბოლო ორი პერიოდი ივერიელთა უპირატესობით წარიმართა. აქვე უნდა აღინიშნოს „სლავუტიჩის“ .მცველთა კარგი თამაში, რაც გამოიხატა ჩვენი ლიდერის მარგიევას ნეიტრალიზაციაში. ამოცანა კარგად შეასრულეს სოლოვიოვამ და გუსარჩუკმა, რომლებიც მორიგეობით დასდევდნენ თბილისელს, მაგრამ მარგიევას თამაშიდან სრული გამოთიშვა კიეველებმა მაინც ვერ შეძლეს. მესამე პერიოდში მარგიევამ ორჯერ აიღო მეტოქის კარი და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც მოიპოვა.

როდესაც გუსარჩუკმა შეამცირა ანგარიში, თბილისელები სულაც არ „შეშფოთებულან“ — მშვიდად, მეთოდურად აგრძელებდნენ იერიშებს და მალე ლაშქარაშვილმა მეექვსე ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ თბილისელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მათ შორის არც თავად წყალბურთელებს. მასპინძლებმა ბოლოს რამდენადმე მოადუნეს ყურადღება და კოვალმა ორამდე შეამცირა სხვაობა — 4:6. მეტის გაკეთება სტუმრებმა ვეღარ შეძლეს.

ამ გამარჯვებით „ივერია“ მესამე ადგილზე გავიდა და ფინალურ ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. თბილისელებთან ერთად პირველეული ოთხეული შეადგინეს ზლატოუსტის „ურალოჩკამ“, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა და გორკის „სალიუტმა“.

ჩემპიონატის II წრის საუკეთესო მეკარის პრიზი მოიპოვა თბილისელმა ვიქტორია ივანოვამ, საუკეთესო მცველად აღიარეს ირინა სილივანოვა (ფიზკულტურის ინსტიტუტი — მოსკოვი), საუკეთესო ნახევარმცველად — ირინა ტოლკუნოვა (მოსკოვის უნივერსიტეტი). პოზიციურ ,თავდამსხმელთაგან — ოლგა ლეშჩუკი („ურალოჩკა“), ხოლო ცენტრალურ თავდამსხმელთაგან პრიზი ნატალია გალკინას („სალიუტი“) გადასცეს.



ტურნირის საუკეთესო მეკარე თბილისელი ვიქტორია ივანოვა.
გია ახალაძის ფოტო.

ტურნირის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ „ივერიის“ უფროს მწვრთნელს ბორის მეგედს. მან თქვა: „საბოლოო შედეგით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვართ. როგორც ხედავთ, შევასრულეთ პროგრამა მინიმუმი. ახლა მთავარია ფინალური ტურნირისათვის სათანადოდ მოვემზადოთ, რათა ჩემპიონობისათვის ვიბრძოლოთ. რაც შეეხება თვით ჩვენს გოგონებს, მათი თამაშით მთლად კმაყოფილი არა ვარ. „ივერიამ“ მისთვის ჩვეულ დონეზე მხოლოდ პირველი ოთხი შეხვედრა ჩაატარა, ბოლო სამ მატჩში ჩვენმა გოგონებმა ერთობ სუსტად იასპარეზეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა“.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ბორის მეგედის, გუნდის უფროსის ზურაბ ჩაჩავას და მწვრთნელ ვაჟა ჩერტკოევის მიერ მომზადებული გუნდი დარჩენილ შეხვედრებს განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარებს და საწადელს მიაღწევს.

* * *

ორი წრის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	ბ.	ჯ.
1. „ურალოჩკა“ (ზლატოუსტი)	152—89	26
2. „სალიუტი“ (გორკი)	100—85	16
3. „ივერია“ (თბილისი)	94—83	16
4. ფიზკულტურის ინსტიტუტი (მოსკოვი)	104—101	16
5. უნივერსიტეტი (მოსკოვი)	114—100	15
6. „სლავუტიჩი“ (კიევი)	81-93	10
7. „სტრელა“ (ზაპოროჟიე)	64—113	7
8. „ნივა“ (კრასნოდარი)	65—116	4

მოსკოვის კანდიდატთა წარმატება

14-დან 24 აპრილამდე ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ბანკიაში გაიმართა დიდი საერთაშორისო საშაღრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 120 წარმომადგენელმა. მონაწილეთა შორის იყვნენ საერთაშორისო ფიდე-ს ეროვნული ოსტატები.

საქართველოდან ტურნირში თამაშობდნენ ოსტატობის კანდიდატები: ქუთაისელი ნუკრი მანაგაძე და თბილისელი ნიკოლოზ ჩახოიანი. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით. ჩვენი ორივე თანამემამულე წარმატებით გამოვიდა: მანაგაძემ 9-დან 6,5 ქულა მოაგროვა და IV-VI ადგილები გაიო, ხოლო ჩახოიანმა 6 ქულით— VII-X ადგილები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პირველ ათეულში გასულ მოჭადრაკეებს უფლება ეძლეოდათ მომავალ წელს ამავე ტურნირში შერჩევის გარეშე მიეღოთ მონაწილეობა, მანაგაძისა და ჩახოიანის შედეგები წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან უფრო ტიტულოვანი მოჭადრაკეები ათეულს მიღმა დარჩნენ.

25 აპრილიდან 4 მაისამდე ნიკოლოზ ჩახოიანმა მონაწილეობა მიიღო ზოვსპირა ქალაქ სოზოპოლის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. აღნიშნული შეჯიბრებაც შვეიცარიული სისტემით — 9 ტურად ჩატარდა. აქაც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფიდე-ს და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ოსტატები. დიდი წარმატება ხვდა ოსტატობის კანდიდატს ნიკოლოზ ჩახოიანს, რომელმაც ასეთ ძლიერ შემადგენლობაში III-IV ადგილები გაიყო.

იმის გამო, რომ ჩახოიანი ორივე ტურნირში შეხვდა საერთაშორისო წოდების მქონე რვა მოჭადრაკეს და მოაგროვა 4,5 ქულა 8-დან, ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ შეჯიბრების ცხრილები გადაეცემა ფიდე-ს და გაირკვევა, რამდენად საკმარისია ეს ფიდე-ს ოსტატობის წოდების მისანიჭებლად.

ევგენი მელიქსეთ-ბეგი.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მომზადების ფასიან კურსებზე ა. წ. 21 მაისიდან ჩაატარებს უძველესი იაპონური ორთაბრძოლის სახეობის ჯიუ-ჯიცუს ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსებს ვაჟებისა და ქალებისათვის.

აღნიშნულ კურსებს უხელმძღვანელებს პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, შავი ქამრისა და მეორე დანის მფლობელი იოზეფ ლესნისკი.

მსმენელები, რომლებიც აითვისებენ სპეციალურ პროგრამას და ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს, მიეცემათ კურსების დამთავრებისა და ინსტრუქტორის მოწმობა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების დირექციაში.

მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი № 49-ა. ტელ. 29-39-62.

18 მაისს თბილისის სპორტის სახახლეში ტარდება კონცერტი „შინდისფერი დროშა“. მონაწილეობენ: თამუნა ამონაშვილი, ინგა ბერაძე, გიორგი ლომიძე, მაია დარსმელიძე, და როკ-ჯგუფი „ოკეანე“ — ვახტანგ მაკალათიას, მერაბ მამულაშვილის, კაკო ვაშალომიძის, ბორის ძნელაძის, დავით ტაბლიაშვილის და მიხეილ გელაძის მონაწილეობით.

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

„საფარი რალი“

მოსფილიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი ავტორალში კენიაში გაიმართა. რბოლა მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში ტარდებოდა. გადაუღებლად წვიმდა.

პირველი 1000 კილომეტრი პილოტებმა ასეთი თანმიმდევრობით გაიარეს: 1. ბიორნა ვალდეგაარდი (შვეცია, „ტოიოტა“); 2. კენეტ ერიკსონი (შვეცია, „ტოიოტა“) — ლიდერს ჩამორჩა 1 წუთით და 47 წამით; 3. დანკანი (ინგლისი, „სიბარუ“) — 3 წუთით და 10 წამით; 4. ალესანდრო ფიორიო (იტალია „ლანჩა“) — 4 წუთით და 29 წამით; 5. მიკი ბიასიონი (იტალია, „ლანჩა“) — 9 წუთით და 6 წამით. ძრავის მწყობრიდან გამოსვლის გამო რბოლა ვერ დაამთავრა ფინელმა მარკუ ალენმა („სებაროუ“).

ბიორნ ვალდეგაარდმა მეორე დღესაც შესანიშნავად იასპარეზა და შეინარჩუნა ლიდერობა. 48 წლის ვეტერანმა „საფარი რალის“ 38 გათამაშებიდან 17-ში იასპარეზა და სამჯერ გაიმარჯვა.

ავტორალის მომდევნო სამ ეტაპზე ბიორნ ვალდეგაარდი სულ უფრო წინ მიიწევდა და შორდებოდა თავის მეტოქეებს. მას 39 წუთითა და 6 წამით ჩამორჩებოდა ბიასიონ — სივიეროს ეკიპაჟი, კენეტ ერიკსონისა და ბილტამის — 59 წუთით და 47 წამით, კანკუნენ — პიირონენის ეკიპაჟი — 1 საათით, 3 წუთითა და 12 წამით. რბოლას გამოეთიშა ფიორიო — პიროლოს ეკიპაჟი.

საბოლოოდ 5-დღიანი და 4000 კმ სიგრძის ურთულესი რბოლა წარმატებით დაამთავრა ბიორნ ვალდეგაარდისა და კენეთ გალაჰერის დუეტმა („ტოიოტა-ჩელიკა“). ფინიშთან მეორე იყვნენ ფინელები იუჰა კანკუნენი და იუჰა პიირონენი („ლანჩა-მარტინი“), მესამე — ერიკსონი — ბილსტამი („ტოიოტა — ჩელიკა“), მეოთხე — კარლოს საინცი — ლუის მოია (ესპანეთი, „ტოიოტა — ჩელიკა“) — 4 საათი, 17 წუთი 31 წამი.

58 ეკიპაჟიდან ფინიშთან მხოლოდ ათი მივიდა.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, ჩემპიონატს მაინც „ლანჩა“ ლიდერობს.

დავით ჩუბინიძე.

„სპორტპროგნოზი“, 21-ე ტირაჟის პროგრამა (26 მაისი)
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)

		პროგნოზი		
1. „ცუნამი“ (კემეროვო) — „კაირატი“ (ალმა-ათა)	26.V	10	70	20
2. „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი)	26.V	20	70	10
3. „შინაკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (სტავროპოლი)	26.V	40	50	10
4. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ფაკელი“ (ვორონეჟი)	26.V	30	50	20
5. „კოტაიკი“ (ჩიტა) — „ლოკომოტივი“ (გორკი)	26.V	80	10	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა) დასავლეთის ზონა				
6. „კრემენი“ (კრემენჩუგი) — „ნივა“ (ვინიცა)	26.V	30	60	10
7. „ვორსკლა“ (პოლტავა) — „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი)	26.V	20	70	10
8. „ბალტიკა“ (კალინინგრადი) — „ნივა“ (ტერნოპოლი)	26.V	20	70	10
9. „ზარია“ ,ვოროშილოვგრადი) — „დაუგავა“ (რიგა)	26.V	40	40	20
10. „დნეპრი“ (მოგილიოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი)	26.V	10	60	30
ცენტრალური ზონა				
11. „ზვეზდა“ (პერმი) — „დინამო“ (ბრიანსკი)	26.V	40	50	10
12. „სოკოლი“ (სარატოვი) — „გასტელო“ (უფა)	26.V	50	40	10
13. „ჭრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ზენიტი“ (იჟევსკი)	26.V	40	50	10

გაბრაზებული შტეფი გრაფი

გონი. მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი საშინლად განაწყენებული დარჩა, როცა ერთ-ერთ გაზეთში თავისი უხამსი ფოტო იხილა. „ოპელ კორსას“ მარკის მანქანასთან იდგა საკმაოდ პიკანტურად ჩაცმული სპორტსმენი რამდენიმე მამაკაცის თანხლებით. გრაფმა განაცხადა, რომ არასდროს არ გადაუღია ამ მანქანასთან ფოტო და ყველაფერი მტკნარი სიცრუეაო.

„ოპელის“ ფირმის ხელმძღვანელობამ ბოდიში მოუხადა განრისხებულ ჩოგბურთელს და აღუთქვა, რომ ამ სარეკლამო ფოტოს არასდროს გამოიყენებდა. როგორც გაირკვა მანქანასთან, ფაქტიურად ტიტველი, აღბეჭდილი ყოფილა 27 წლის ბრიტანელი მოდელიორი, რომელიც ორი წვეთი წყალივით ჰგავს გრაფს, მაგრამ მასზე უფრო დაბალია 11 სანტიმეტრით.

რომი. დაიწყო იტალიის ლიგა ჩემპიონატი ჩოგბურთში ვაჟთა შორის. პირველი წრის შეხვედრაში მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა დაამარცხა 1983 წელს ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ამერიკელი ჯიმი არიასი — 7:6, 6:3. სასტარტო მატჩები მოიგეს, აგრეთვე, ჯიმ კურიემ (აშშ), ანრი ლეკონტმა (საფრანგეთი), ანდრეს იარიდმა (შვეცია), ალბერტო მანჩინიმ (არგენტინა), ალექსანდრე ვოლკოვმა (სსრ კავშირი) და სხვ.



თბილისი. ცენტრალური სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

20 მაისი ● ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია“ (თბილისი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი)

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ფეხბურთის და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 18, 19 და 20 მაისს 10-დან 15 საათამდე. ხოლო ორგანიზაციებში 18 მაისს. შესვენება 14-დან 15 საათამდე.

ასკ-ის სტადიონი

(ბოჟორმის ქ. №18)

20 მაისი ● ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(II ჯგუფი, აღმოსავლეთი ქვეჯგუფი)

„მრეწველი“ (თბილისი) — „ომმს“ (თბილისი)

დასაწყისი 18 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 888886,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 888886, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
ოფსეტური წესით საგამომცემლო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779